სსიპ კოლეჯი

„ბლექსი“

სტრატეგიული გეგმა 2019 – 2026

საჯარო სამართლის იურიდიული პირი კოლეჯი „ბლექსი“

ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქუჩა № 92ა

(+422) 24 77 50; (+422) 24 77 52

http://blacksea.edu.ge/

სარჩევი

სარჩევი 4

1. შესავალი 6

1.1. სასწავლებლის ისტორია 6

2. მისიის განაცხადი 10

2.1. მისია და ხედვა 10

2.2. სტრატეგიული ჩარჩო 10

2.3. სამუშაო პრინციპები და ღირებულებები 10

N 1. სტრატეგიული ჩარჩო 12

3. სტრატეგიის დასაბუთება 13

3.1. გარემოს დახასიათება (შესაძლებლობა და საფრთხე) 13

3.2. ორგანიზაციის შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარე) 15

N 2. გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი 17

N 3. ინსტიტუციური გარემოს რუკა 18

4. სტრატეგიული ჩარჩო 20

4.1. პროგრამების განვითარება და განხორციელება 20

N 4. არსებული და ახალი პროგრამები 25

4.2. პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის მოზიდვა 27

4.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა 30

4.4. რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა 32

5. დანართი 37

ერთად გავმარჯვებთ
ჩვენი ამაგისთვის

1. შესავალი

1.1. სასწავლებლის ისტორია

სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“ წარმოადგენს ქ. ბათუმში წლების მანძილზე არსებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. კოლეჯი ახორციელებს შრომის ბაზარზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ძირითადი მიმართულებებია: ტურიზმი და სამშენებლო მიმართულებები. კოლეჯი ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით ახორციელებს დუალურ პროგრამებს. პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების პარალელურად კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ასევე სხვადასხვა ტიპის ტრენინგ - კურსებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯს გააჩნია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საქმიანობა ხორციელდება კვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების, კომპანიების ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კოორდინირებული თანამშრომლობით.

კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლეჯი თანამშრომლობს რეგიონში არსებულ დიდ, საშუალო და მცირე ორგანიზაციებთან (სასტუმროები, რესტორნები, სამშენებლო კომპანიები, სამკერვალო ფაბრიკები, სამკერვალო ატელიები, საჯარო დაწესებულებები, საქვეუწყებო ორგანიზაციები და ა.შ). სოციალური პარტნიორობის მაღალი ხარისხი კოლეჯის ძლიერი მხარეა.

კოლეჯი ,,ბლექსი“ ერთ-ერთი პირველთაგანია იმ კოლეჯებს შორის, რომელმაც დაიწყო დუალური პროგრამების დანერგვა ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით. დუალური პროგრამები ხორციელდება შემდეგ პარტნიორებთან თანამშრომლობით: ტურიზმის სექტორი - სასტუმროები: ,,ჰილტონ ბათუმი“, ,,რედისონ ბლუ ბათუმი“, ,,შერატონ ბათუმი“, ,,ვინდამ ბათუმი“, ,,კასტელო მარე“, ჰიპერმარკეტი ,,გუდვილი“, საკონდიტრო ,,ალუბალი“ და სხვ. სამშენებლო სექტორი - სამშენებლო კომპანიები: ,,ანაგი ბათუმი“, ,,გზა“, ,,გზები“, ,,ზიმო 7“, „ბონდი 2009“ და სხვ. დუალური პროგრამის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგები გადანაწილებულია კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიებს შორის. პროფესიული სტუდენტი სწავლობს კოლეჯში და პარალელურად მუშაობს

კომპანიაში. რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა დუალური პროგრამის სწავლის შედეგების მინიმუმ 51%. კოლეჯი აპირებს დუალური პროგრამების მიმართულებით გააფართოოს როგორც პროგრამების, ასევე, პარტნიორი კომპანიების არეალიც.

კოლეჯი მომხმარებლებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მორგებულია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველწლიურად მატულობს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა.

კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო მოდულურ პროგრამებზე სწავლისათვის, სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად, საჭიროა ერთიანი ეროვნული პროფესიული ტესტირების გავლა და მინიმალური კომპეტენციების ზღვარის გადალახვა. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

2013 წლიდან დღემდე სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“ დაასრულა 1 397 პირმა. კოლეჯში მიმდინარეობს დასაქმების მხარდამჭერი სისტემის დანერგვა. 2018 წლის მონაცემებით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 57 %-ს, ცალკეულ სპეციალობებზე - 80 %-ს.
სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ 2013 წლიდან დაინერგა ინკლუზიური პროფესიული განათლება, რომლის მიზანია პროფესიული განათლების სექტორში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პროფესიული განათლების უზრუნველყოფა, მათი დასაქმება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. პროფესიული განათლების სისტემაში შშმ პირთა ჩარიცხვა ალტერნატიული პროფესიული ტესტირებით, პროფესიული მოსინჯვის საფუძველზე ხორციელდება. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართულნი არიან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სასწავლო პროცესის ასისტენტები, რომლებიც მონაწილეობენ პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაში და სტუდენტთან ერთად განიხილავენ პროფესიულ თუ პიროვნულ წინსვლასა და მიღწეულ შედეგებს.

ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში სასწავლო და სამუშაო პროცესში მიღწეული შედეგები/წარმატებები:

- ეტლით მოსარგებლე და ქმედუუნარო სსსმ სტუდენტები უზრუნველყოფილია ტრანსპორტით;
- სმენადაქვეითებულ პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯი სთავაზობს ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურებას;
- უსინათლო პირებს კოლჯი სთავაზობს მობილობა/ორიენტაციის ტრენერის მომსახურებას;
- სსსმ სტუდენტთა საჭიროებიდან გამომდინარე შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დაგეგმილია ინდივიდუალური მეცადინეობები;
- შშმ პირებისათვის კოლეჯში ხორციელდება საპროფორიენტაციო მუშაობა პროფესიის სწორად შერჩევისათვის;

კოლეჯი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან: GIZ, UNDP. 2011 წელს ,,გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) მხარდაჭერით კოლეჯში დაფუძნდა Cisco-ს ქსელური აკადემია. აკადემიას ჰყავს ოთხი ინსტრუქტორი, აკადემიაში სწავლება მიმდინარეობს ორ პროგრამაზე: IT Essentials და CCNA Routing and Switching.

ბოლო ორი წელია კოლეჯი აქტიურად ახორციელებს პროფესიული უნარების განვითარების კურსებს საჯარო სკოლებთან ერთად. კოლეჯი თანამშრომლობს როგორც ქალაქის, ასევე, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებთან. 2017- 2018 სასწავლო წელს პროფესიული უნარების კურსები გაიარა ორასამდე მოსწავლემ.

2. მისიის განაცხადი

2.1. მისია და ხედვა

კოლეჯის მისიაა იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე, სადაც უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და მზარდია სწავლის მსურველთა და სოციალურ პარტნიორთა რაოდენობა.

კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პროირიტეტულია ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულების პროგრამების განხორციელება და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება.

კოლეჯის ხედვაა გახდეს რეგიონში პროფესიული სწავლების ლიდერი რომელიც, განვითარებაზე ორიენტირებული მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით, პროფესიულ სტუდენტსა და მსმენელს სთავაზობს ხარისხიან განათლებას, ხელს უწყობს მის კარიერულ წინსვლას და უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრებით.

2019-2026 წლებში კოლეჯი მიზნად ისახავს პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების გამრავალფეროვნებას და მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას.

2.2. სტრატეგიული ჩარჩო

კოლეჯის სტრატეგიული ჩარჩო აერთიანებს საქმიანობის ოთხ ძირითად მიმართლებას: პროგრამების განხორციელება; პროფესიული სტუდენტის და მსმენელის მოზიდვა; კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა; რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა (იხილე დიაგრამა N 1. სტრატეგიული ჩარჩო).

2.3. სამუშაო პრინციპები და ღირებულებები

საქმიანობაში კოლეჯი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებითა და ღირებულებათა სისტემით:

პრინციპები:

- ორიენტაცია შედეგზე, მოქნილი მიდგომა და უწყვეტი სწავლების ხელშეწყობა;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ინტენსიური პრაქტიკა;
- დამსაქმებლის აქტიური როლი სწავლებაში;
- პერსონალის და ორგანიზაციის მუდმივი განვითარება;
- ღირებულებები:
- ინკლუზიური მიდგომა, გენდერული თანასწორობა და არა დისკრიმინაცია;

- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა;
- გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვა;

N 1. სტრატეგიული ჩარჩო



მისიის განაცხადი
გვერდი 11 - 41 -დან

3. სტრატეგიის დასაბუთება

3.1. გარემოს დახასიათება (შესაძლებლობა და საფრთხე)

სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა იმ გარემოებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სტრატეგიის რეალიზაციას და იმ გარემოებათა შესწავლის გზით, რომლებიც წარმოადგენენ შესაძლებლობას.

შესაძლებლობები:

- მოთხოვნის ზრდა პროფესიულ განათლებაზე. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალაქ ბათუმსა და ზღვისპირა ზოლში სწრაფად ვითარდება სამშენებლო ინდუსტრია და ტურიზმი, ხოლო მაღალმთიან აჭარაში, ასევე, შეინიშნება დადებითი ცვლილებები სოფლის მეურნეობაში, რაც ზრდის მოთხოვნას პროფესიულ განათლებაზე;
- განათლება სახელმწიფო პრიორიტეტია. განათლების სფერო სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა. ხორციელდება მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები[1], იგეგმება განათლების სფეროს დაფინანსების ზრდა;
- „საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრა. საშუალო და პროფესიული განათლების ინტეგრაცია საშუალებას აძლევს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულს სურვილის შემთხვევაში გააგრძელოს სწავლა უმაღლეს დაწესებულებაში;
- კომერციული საქმიანობის უფლება. პროფესიულ სასწავლებელს მიეცა დამხმარე კომერციული საქმიანობის წარმოების უფლება (მაგალითად, მეცადინეობის დროს შექმნილი პრდუქციის რეალიზაცია, მომსახურების გაწევა თუ სხვა);
- მთის განვითარების პოლიტიკა. მთის განვითარებაზე მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობა მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების წინაპირობაა.
- ახალი შენობის მშენებლობა. კოლეჯს მიღებული აქვს თანხმობა ახალი შენობის მშენებლობაზე და გააჩნია შესაბამისი ფონდები;

[1] „ზრდასრულთა გადამზადების მოკლევადიანი კურსების სახელმწიფო პროგრამა“, "ზოგადი განათლების დაწესებულებებში პროფესიული სწავლების და პროფორიენტაციის სისტემების სახელმწიფო პროგრამა"

საფრთხის შემცველი ფაქტორები:

- ინტენსიური კონკურენცია. პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა, მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები (მათ შორის უნივერსიტეტების პროფესიული პროგრამები), მეტ-ნაკლებად თანაბარი რესურსები და ორგანიზაციული კომპეტენცია ამძაფრებს კონკურენციას;
- სპეციალობის დიპლომი არ არის სავალდებულო. ეკონომიკის რამდენიმე დარგში, სადაც საქმდება პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა უმეტესობა (მაგალითად, სამშენებლო სექტორი, ტურიზმი), შესაბამისი პროფესიის დიპლომი არ არის სავალდებულო არც საქართველოს კანონმდებლობით და არც კომპანიის შინაგანაწესით;
- რესურსის სიმცირე. რესურსების სიმცირის გამო პროფესიულ სტუდენტებს არ გააჩნიათ სტიპენდია. არსებული სახელფასო სქემა უარყოფითად აისახება პერსონალის მოტივაციასა და კადრების გადინებაზე, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოზიდვაზე;
- დუალური სწავლების სირთულე. ბიზნეს კომპანიები, სადაც მუშაობენ და სწავლობენ დუალურ პროგრამაში ჩართული პროფესიული სტუდენტები, ხშირად ცვლიან მენეჯმენტს, რაც საფრთხეს უქმნის დუალური პროგრამის მსვლელობას;
- რადიკალიზაციის საფრთხე. რადიკალიზაციის საფრთხე გლობალური პრობლემაა, განსაკუთრებით მოშორებით მდებარე ღარიბ გეოგრაფიულ რაიონებში.
- სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება კოლეჯის ახალ შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით. ახალი შენობის არ აშენების შემთხვევაში შემცირდება სასწავლო პროგრამები.

3.2. ორგანიზაციის შეფასება (ძლიერი და სუსტი მხარე)

გარემოს ანალიზთან ერთად, სტრატეგია ეყრდნობა ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას.

ძლიერი მხარე:

- კვალიფიცირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები. პროგრამების განმახორციელებლები წარმოდგენილია კვალიფიცირებული სპეციალისტების ჯგუფით;
- პარტნიორთა ქსელი ტურიზმის დარგში. კოლეჯს ჰყავს მრავალი პარტნიორი ორგანიზაცია (სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ტურისტული ოპერატორები და სხვა) ტურიზმის დარგში;
- დუალური პროგრამების გამოცდილება. კოლეჯი ახორციელებს რამდენიმე დუალურ პროგრამას და გააჩნია კარგი გამოცდილება ამ მხრივ;
- CISCO ქსელური აკადემიის წევრობა. კოლეჯი არის CISCO ქსელური აკადემიის წევრი.

სუსტი მხარე:

- საერთო საცხოვრებლის არ არსებობა. საერთო საცხოვრებლის არ არსებობა ართულებს იმ აპლიკანტების მოზიდვას, რომლებიც არ ცხოვრობენ ქალაქ ბათუმში, განსაკუთრებით სიღარიბის პირობებში;
- დუალური სწავლების ინსტრუქტორის ხშირი ცვლა. არსებული სახელფასო ბადის პირობებში ხშირია დუალური პროგრამების ინსტრუქტორების ცვლა რაც აფერხებს პროგრამას;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა საშუალო ასაკი მაღალია. მასწავლებელთა საშუალო ასაკი მაღალია, იმის გამო, რომ კოლეჯს არსებული სახელფასო ბადის პირობებში უჭირს ახალგაზრდა მასწავლებლების მოზიდვა, განსაკუთრებით სამშენებლო სპეციალობებზე;
- მართვის სისტემის ნაკლოვანებები. ადამიანური რესურსების მართვის სისტემა და საოპერაციო პროცედურები საჭიროებს სრულყოფასა და შემდგომ გაუმჯობესებას;
- სამშენებლო პროგრამების პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაკლებობა. კოლეჯი განიცდის სამშენებლო პროგრამების განმახორციელებელთა ნაკლებობას (იხილე შემაჯამებელი ცხრილი „N 2. გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი“ და დიაგრამა „N 3. ინსტიტუციური გარემოს რუკა“).

N 2. გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი

	პოზიტიური ფაქტორი	ნეგატიური ფაქტორი
გარე ფაქტორი	**შესაძლებლობა:** • მოთხოვნის ზრდა პროფესიულ განათლებაზე. • განათლება სახელმწიფო პრიორიტეტია. • „საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრა. • კომერციული საქმიანობის უფლება. • მთის განვითარების პოლიტიკა. • ახალი შენობის მშენებლობის პერსპექტივა.	**საფრთხე:** • ინტენსიური კონკურენცია. • სპეციალობის დიპლომი არ არის სავალდებულო. • რესურსის სიმცირე. • დუალური სწავლების სირთულე. • რადიკალიზაციის საფრთხე.
შიდა ფაქტორი	**ძლიერი მხარე:** • კვალიფიცირებული პროფესიული განათლების მასწავლებლები. • პარტნიორთა ქსელი ტურიზმის დარგში. • დუალური პროგრამების გამოცდილება. • CISCO ქსელური აკადემიის წევრობა.	**სუსტი მხარე:** • საერთო საცხოვრებლის არ არსებობა. • დუალური სწავლების ინსტრუქტორის ხშირი ცვლა. • პროფესიული განათლების მასწავლებელთა საშუალო ასაკი მაღალია. • მართვის სისტემის ნაკლოვანებები. • სამშენებლო სპეციალობის პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაკლებობა.

N 3. ინსტიტუციური გარემოს რუკა



4. სტრატეგიული ჩარჩო

4.1. პროგრამების განვითარება და განხორციელება

სტრატეგიული მიზანი

სტრატეგიული მიზანია პროფესიული პროგრამების მუდმივი განვითარება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მსურველთა დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა.

სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მეზობელ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ მიიღონ პროფესიული განათლება;
- ზრდასრული მოსახლეობა, რომელსაც სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია და /ან დაეუფლოს ახალ სპეციალობას დასაქმების ან თვითდასაქმების მიზნით;
- დამსაქმებელი, რომელსაც სურს მოამზადოს და /ან გადაამზადოს კადრები;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები და/ან დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობას.

წარმატების ინდიკატორები

- 2021 წლიდან კოლეჯი ახორციელებს სულ მცირე 20 გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (მათ შორის, სულ მცირე ორ პროგრამას სხვა კოლეჯთან თანამშრომლობით);
- 2025 წლიდან კოლეჯი ახორციელებს სულ მცირე ორ საერთაშორისო პროგრამას;
- 2021 წლიდან გრძელვადიანი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება სულ მცირე 2 -ჯერ;
- ყოველწლიურად პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებზე სწავლებას გაივლის სულ მცირე 200 მსმენელი (მათ შორის, არა ნაკლებ 40% ქალი, სულ მცირე 1% - შშმ და სსსმ პირები);
- 2023 წლიდან კურსდამთავრებულთა წილი შეადგენს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების და მსმენელების სულ მცირე 80%;

- სწავლის ხარისხით კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების სულ მცირე 80%.

ძირითადი ამოცანები:

1. მომსახურების სფეროს მიმართულებით პროგრამების განვითარება

მომსახურების სპეციალობათა მიმართულებით კოლეჯი აპირებს გააგრძელოს შემდეგი არსებული მოდულური, მათ შორის დუალური პროგრამები:

- კულინარიის ხელოვნება (მოდულური, მათ შორის დუალური პროგრამა);
- კონდიტერია (მოდულური/დუალური პროგრამა).

წინა წლებში განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე და პროგრამების განხორციელების გამოცდილებაზე დაყრდნობით კოლეჯი გეგმავს შეიმუშაოს, დანერგოს და /ან განაახლოს შემდეგი პროგრამები:

- სასტუმრო მომსახურება (მოდულური, მათ შორის, დუალური პროგრამა, პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- სარესტორნო მომსახურება (მოდულური მათ შორის დუალური პროგრამა, პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- ადგილობრივი გიდი (პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- სამთო გიდი (პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- ბართენდერი (მოდულური პროგრამის სახით განხორციელდება 2020 წლის ჩათვლით და შეიცვლება ,,ბარის ორგანიზების“ არჩევითი მოდულით სარესტორნო მომსახურების პროგრამაში. ასევე განხორციელდება პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის სახით).

2. სამშენებლო მიმართულებით პროგრამების განვითარება

სამშენებლო მიმართულებით, კოლეჯი ამჟამად ახორციელებს მოდულურ, მათ შორის, დუალურ პროგრამებს და გეგმავს გააგრძელოს ისინი:

- სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა /ქვის სამუშაოების წარმოება (დუალური პროგრამა);
- მშენებლობის წარმოება /იატაკისა და ფილის სამუშაოები (მოდულური, მათ შორის, დუალური პროგრამა);
- ელექტროობა (მოდულური პროგრამა);
- საავტომობილო გზების მშენებლობა (დუალური პროგრამა).

სამშენებო ინდუსტრიის ტენდენციების გათვალისწინებით კოლეჯი გეგმავს შეიმუშაოს და დანერგოს ახალი პროგრამები:

- ანაკრები და მონოლითური სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა (დუალური და მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები (მოდულური და პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- წყალმომარაგება და წყალარინების სპეციალისტი (მოდულური და პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- შედუღება (მოდულური და პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
- ზეინკალ - სანტექნიკოსი (მოდულური და პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა)
- ამწე და მსგავსი მანქანებით ოპერირება (მოდულური და პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა).

3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით პროგრამების განვითარება

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით კოლეჯი ახორციელებს და გეგმავს გააგრძელოს პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (მოდულური პროგრამა).

კოლეჯი გეგმავს შეიმუშაოს და დანერგოს შემდეგი პროგრამები:

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური პროგრამა, მათ შორის საშუალო სკოლის კომპონენტის ინტეგრირებული მოდულებით);
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (მოდულური პროგრამა);

4. სამკერვალო წარმოების პროგრამის დანერგვა

ამ ეტაპზე კოლეჯი ახორციელებს მოდულურ პროგრამას „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“, რომელიც ჩანაცვლდება ოპტიმიზირებული მოდულური პროგრამით „სამკერვალო წარმოება“.

5. აგრარული მიმართულებით პროგრამების განვითარება

ზემო აჭარაში (ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებში) შრომის ბაზრის თვისებრივი კვლევის საფუძველზე, კოლეჯი გეგმავს დანერგოს მოკლევადიანი პროგრამები აგრარული მიმართულებით, სადაც კოლეჯი გეგმავს ფილიალების გახსნას:

- ფერმერობა მეთევზეობაში;
- მეფუტკრეობა;
- მევენახეობა-მეღვინეობა;
- ვეტერინარ/ზოოტექნიკოსი.

6. ახალი პროგრამების შექმნის მიზანშეწონილობის დადგენა

კოლეჯი შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში (2025 - 2026) განიხილავს რიგი ახალი პროგრამების შემუშავებას. კერძოდ, შრომის ბაზარზე არსებული საჭიროების, რესურსების შეფასების საფუძველზე პერსპექტივაში სამშენებლო მიმართულებით განიხილება საბათქაშე სამუშაოების, თაბაშირ-მუყაოს სამუშოებისა და მღებავის მოდულური და პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება. განიხილება ისეთ პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორიცაა: ტელეკომუნიკაცია, პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი, სამრეწველო ავტომატიზაცია. ამისათვის კოლეჯი გეგმავს შრომის ბაზრის

სეგმენტურ შესწავლას. სამკერვალო მიმართულებით შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოების პროგრამის შემუშავება, რაც ასევე საჭიროებს შრომის ბაზრის დამატებით კვლევას (შეჯამების სახით იხილეთ ცხრილი N 4. არსებული და ახალი პროგრამები).

N 4. არსებული და ახალი პროგრამები

	არსებული პროგრამები	ახალი პროგრამები
მომსახურების სფერო	• კულინარიის ხელოვნება (მოდულური მათ შორის დუალური პროგრამა); • კონდიტერია (დუალური პროგრამა).	• სასტუმრო მომსახურება (მოდულური, მათ შორის, დუალური პროგრამა, პროფესიული მომზადება ან/და პროფესიულიგადამზადების პროგრამა); • სარესტორნო მომსახურება (მოდულური, მათ შორის დუალური პროგრამა, პროფესიული მომზადება ან/და პროფესიულიგადამზადების პროგრამა);) • კონდიტერია (განხორციელების ორი მიდგომით); • ადგილობრივი გიდი (პროფესიული მომზადება ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა); • სამთო გიდი (პროფესიული მომზადება ან/და პროფესიულიგადამზადების პროგრამა); • ბართენდერი (პროფესიული მომზადება ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა);
სამშენებლო მიმართულება	• სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა /ქვის სამუშაოების წარმოება (დუალური პროგრამა); • მშენებლობის წარმოება /იატაკისა და ფილის სამუშაოები (მოდულური მათ შორის დუალური პროგრამა); • ელექტროობა (მოდულური პროგრამა); • საავტომობილო გზების მშენებლობა (დუალური პროგრამა).	• ანაკრები და მონოლითური სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა(დუალური და პროფესიული მომზადება ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა); • შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები (მოდულური და პროფესიული მომზადება ან/და პროფესიულიგადამზადების პროგრამა); • წყალმომარაგება და წყალარინების სპეციალისტი (მოდულური და პროფესიული მომზადება ან/და პროფესიულიგადამზადების პროგრამა); • შედუღება (მოდულური და პროფესიული მომზადება ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა); • ზეინკალ - სანტექნიკოსი (მოდულური და პროფესიული მომზადება ან/და პროფესიულიგადამზადების პროგრამა); • ამწე და მსგავსი მანქანებით ოპერირება (მოდულური და პროფესიული მომზადება ან/და პროფესიულიგადამზადების პროგრამა);

	არსებული პროგრამები	ახალი პროგრამები
ინფორმაციული ტექნოლოგიები	• ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური პროგრამა)	• კომპიუტერული ქსელები და სისტემები (მოდულური პროგრამა, მათ შორის საშუალო სკოლის კომპონენტის ინტეგრირებული მოდულებით); • კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება (მოდულური პროგრამა).
სამკერვალო წარმოება	• სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	• სამკერვალო წარმოება
აგრარული მიმართულება	• ამჟამად არ მიმდინარეობს	• მეფუტკრეობა; • ვეტერინარია/ზოოტექნიკოსი; • მევენახეობა-მეღვინეობა; • ფერმერობა მეთევზეობაში.

4.2. პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის მოზიდვა

- სტრატეგიული მიზანი

კომუნიკაცია პროფესიული სტუდენტის /მსმენელის მოზიდვის მიზნით ინტენსიური და დივერსიფიცირებულია, კოლეჯის ცნობადობა გაზრდილია.

სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

სტრატეგიული მიმართულება 4.1 -ის მსგავსად სამიზნე ჯგუფი წარმოდგენილია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მეზობელ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ მიიღონ პროფესიული განათლება;
- ზრდასრული მოსახლეობა, რომელსაც სურს აიმაღლოს კვალიფიკაცია და /ან დაეუფლოს ახალ სპეციალობას დასაქმების ან თვითდასაქმების მიზნით;
- დამსაქმებელი, რომელსაც სურს მოამზადოს და /ან გადაამზადოს კადრები;
- სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ბენეფიციარები.

წარმატების ინდიკატორები

- 2021 წლისათვის კოლეჯის ცნობადობა სამიზნე ჯგუფში მიაღწევს სულ მცირე 65%;
- 2022 კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობა გაზრდილია სულ მცირე 3 -ჯერ.

ძირითადი ამოცანები

1. კომუნიკაციის სტრატეგიის განსაზღვრა

განისაზღვროს კოლეჯის პოზიციონირება და შემუშავდეს კომუნიკაციის სტრატეგია, საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა, დადგინდეს მიზნები, მეთოდები და საშუალებები.

2. პირდაპირ კომუნიკაციის გამოყენება

კოლეჯი აწარმოებს პირისპირ შეხვედრებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, რისთვისაც იგი:

- რჩება პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის პროვაიდერად სულ მცირე 16 სკოლაში და გეგმავს განახორციელოს პროფესიული უნარების განვითარების კურსები სულ მცირე კიდევ 50 სკოლაში როგორც აჭარაში, ასევე, სხვა სამიზნე რეგიონებში;
- მოხალისეთა მობილიზაციის გზით და რესურსცენტრის ხელშეწყობით ყოველწლიურად გეგმავს გასვლით შეხვედრებსა და პრეზენტაციებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლების სულ მცირე 80% -ში;
- მოხალისეთა მობილიზაციის გზით გეგმავს სულ მცირე 30 გასვლით შეხვედრას მოსახლეობასთან ყოველწლიურად;
- მართავს დამსაქმებელთან სისტემატიურ შეხვედრებს სოციალური პარტნიორობის გაძლიერების მიზნით.

3. საჯარო ღონისძიებების ორგანიზება

პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა მოზიდვის მიზნით კოლეჯი გეგმავს ყოველწლიურად სულ მცირე 5-6 ღონისძიებას (მაგალითად, ღია კარის დღე, სტუდენტური ფესტივალი, თუ სხვა) ორგანიზებას. ასევე, მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში (მაგალითად, დარგობრივი გამოფენები, კონფერენციები და სემინარები თუ სხვა).

4. კომუნიკაცია ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებით

კოლეჯი გეგმავს გამოიყენოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რადიო, ტელევიზია, ბეჭდური მედია) მოსახლეობის ინფორმირებისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მოზიდვისათვის. ამისათვის იგი მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა თემატურ სატელევიზიო გადაცემებში პროფესიული განათლების საკთხებზე, ეცდება ამ გადაცემებში ჩართოს პოტენციური დამსაქმებელიც. ამასთან, კოლეჯი გეგმავს მუშობას მედიასთან პროფესიული განათლების საკითხებზე.

5. კომუნიკაცია სოციალური მედიის მეშვეობით

კოლეჯი გეგმავს აქტიურად გამოიყენოს სოციალური მედია, მათ შორის, კურსდამთავრებულთა ალუმნი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა

მოსახლეობისათვის წარმატებული კურსდამთავრებულების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დუალური პროგრამის ინსტრუქტორების საქმიანობის გაცნობა.

6. რეგულარული კავშირი ხელისუფლებასთან

კოლეჯი აგრძელებს სისტემატიურ ურთიერთობას მაკონტროლებელ ორგანოებთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრქუტურებთან.

7. რეგულარული კავშირი სამოქალაქო სექტორთან

კოლეჯი აგრძელებს სისტემატიურ ურთიერთობას სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.

4.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი

სტრატეგიული მიზანია გაიზარდოს დასაქმების სერვისის ეფექტიანობა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კომპეტენციით.

სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

- პოტენციური დამსაქმებელი - სხვადასხვა დარგის (მაგალითად, სამშენებლო, ტურიზმი, მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა თუ სხვა) კომპანიები;
- მოდულური და დუალური პროგრამების, მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-პროფესიული გადამზადების პროგრამების კურსდამთავრებულები.

წარმატების ინდიკატორები

- დასაქმებისა და თვითდასაქმების საშუალო მაჩვენებელი სეზონურ და მუდმივ სამუშაოზე არჩეული პროფესიით ყოველწლიურად იზრდება სულ მცირე 2% -ით;
- კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია (სამიზნე განისაზღვრება 3 წლის შემდეგ (2022 წელი) საწყისი მაჩვენებლის მიხედვით).

ძირითადი ამოცანები

1. კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა ინფორმაციულობის უზრუნველყოფა

კოლეჯი სისტემატიურად იღებს და აწვდის პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას ვაკანსიის თაობაზე. ამ მიზნით იგეგმება გაგრძელდეს სისტემატიური კავშირი სამიზნე დარგში მოქმედ დამსაქმებელ კომპანიებთან.

2. დამსაქმებელთა ინფორმაციულობის უზრუნველყოფა

(მაგალითად, კურსდამთავრებულთა ონ-ლაინ ბაზის შექმნა)
იგეგმება შეიქმნას კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა ონ-ლაინ ბაზა, სადაც სტუდენტს შეეძლება წარმოადგინოს საკუთარი თავი და ნამუშევრები. ბაზა ხელმისაწვდომი იქნება დამსაქმებლისათვის და ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის დასაქმებას.

3. დამსაქმებელთა ჩართულობა სწავლების პროცესში

ტურიზმისა და სამშენებლო მიმართულებით დამსაქმებელთა ნაწილი ჩართულია დუალური პროგრამების განხორციელების პროცესში. იგეგმება ამ მიმართულებით პარტნიორთა არეალის გაფართოება. ასევე, იგეგმება დამსაქმებელთა ჩართვა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და/ან დანერგვის პროცესში. ამგვარი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებს.

4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომუნიკაციის ხელშეწყობა
(მაგალითად, დასაქმების ფორუმის ორგანიზება)

სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობასთან ერთად, კოლეჯი გეგმავს ყოველი გამოშვების ბოლოს მოაწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმი (fair - ბაზრობა), სადაც კურსდამთავრებულებს მიეცემათ საშუალება წარუდგინონ თავი და საკუთარი ნამუშევრები პოტენციურ დამსაქმებელს.

5. ალუმნის ფორმირების ხელშეწყობა

კოლეჯი გეგმავს გააძლიეროს ალუმნი (ეგრედ წოდებული „ბლექსელები“) და ხელი შეუწყოს მის საქმიანობას, მათ შორის სოციალური მედიის მეშვეობით (მაგალითად, LinkedIn -ის გამოყენებით).

6. თანამშრომლობა დასაქმების სააგენტოსთან

კოლეჯი გეგმავს ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს დარეგისტრირდეს დასაქმების სააგენტოს ბაზაში.

7. სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება

კოლეჯი გეგმავს სამეწარმეო უნარ-ჩვევების (სამეწამრეო ინიციატივა, საკუთარი თავის პრეზენტაცია და სხვა მსგავსი) განვითარებას როგორც უნივერსალური კომპეტენციის. ასევე კოლეჯი გეგმავს ხელი შეუწყოს ენის სწავლებას, როგორც დამატებით სასწავლო აქტივობას.

4.4. რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა

- სტრატეგიული მიზნები

სასწავლო პროცესს წარმართავენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები და დუალური პროგრამების ინსტრუქტორები.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, ადაპტირებულ სასწავლო გარემოში და უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო რესურსებით, შექმნილია კომფორტული გარემო სწავლისა და პიროვნული განვითარებისათვის.

კოლეჯის მართვის სისტემა არის მუდმივი განვითარებისა და სრულყოფის საგანი, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს.

სამიზნე ჯგუფი და მოსარგებლე მხარე

- კოლეჯის პროფესიული სტუდენტი და მსმენელი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია;
- დუალური პროგრამის ინსტრუქტორები.

წარმატების ინდიკატორები

- 2020 წლის ბოლოს კოლეჯს გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი ახალი შენობა გათვლილი სულ მცირე 1,000 სტუდენტზე;
- ყოველწლიურად თანამშრომელთა სულ მცირე 25% (ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გადის კვალიფიკაციის ამაღლების სულ მცირე 1 კურსს;
- ყველა ინსტრუქტორი გაივლის გადამზადებას სწავლების მეთოდოლოგიაში;
- 2026 წლისათვის კოლეჯი სერტიფიცირებულია ISO 9001-2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომითი კმაყოფილების მაჩვენებელი არა ნაკლებ 75%;
- პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილება სასწავლო გარემოთი 80%.

ძირითადი ამოცანები

1. ინფრასტრუქტურის განვითარება

- 2020 წელს ექსპლუატაციაში შევა ქ. ბათუმში კოლეჯის ახალი შენობა;
- 2019 და 2020 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევა სასწავლო ცენტრი შუახევსა და ქედაში;
- სამოქმედო გეგმის მიხედვით პროგრამების უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო აღჭურვილობით (მაგალითად, პროგრამის სიმულატორი, სასწავლო სტენდი, კომპიუტერული კლასი თუ სხვა);

2. ადამიანური რესურსის განვითარება

- კოლეჯის პერსონალისათვის რეგულარული შიდა საორიენტაციო პროგრამების /ინსტრუქტაჟის შემუშავება და დანერგვა;
- კადრების განვითარების მიზნით საჭროებათა ყოველწლიური შეფასება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, მათ შორის უცხოელი სპეციალისტების მოწვევა პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის მუდმივი განვითარების მიზნით;
- ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლების მოზიდვის სისტემატიური ღონისძიებები (მათ შორის, წარჩინებული კურსდამთავრებულები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, თუ სხვა);
- პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შრომის პირობების გაუმჯობესება (მაგალითად, სასადილო, დასვენების ოთახი, თუ სხვა);
- დუალური პროგრამის ინსტრუქტორების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება სწავლების მეთოდოლოგიაში;

3. სასწავლო რესურსების განვითარება

- წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება და შევსება;
- ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- პროგრამების შესაბამისად სასწავლო მასალით უწყვეტი მომარაგების სისტემის გამართვა;
- სასწავლო ექსპედიციების ორგანიზება (მაგალითად, კულინარიული ექსპედიცია თუ სხვა).

4. მართვის სისტემები და ხარისხის მართვა

- ფონდების მოძიება-მოზიდვის კომპეტენციის განვითარება;
- სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება;
- მართვისა და ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი სრულყოფა (მათ შორის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება);
- პერსონალის სამუშაო აღწერილობების გადახედვა და გაუმჯობესება;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის ამოქმედება;

5. პროფესიული სტუდენტური ცხოვრებისა და სასწავლო პირობების გაუმჯობესება

- პროფესიული სტუდენტებისათვის სოციალური აქტივობისა და რეკრეაციის ადგილების გამოყოფა,კეთილმოწყობა;
- პროფესიული სტუდენტის წახალისების ახალი მექანიზმების ამოქმედება (მაგალითად, წარჩინებულსტუდენტთა დაფა თუ სხვა);
- პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემის მუდმივი სრულყოფა;
- დუალური პროგრამის პროფესიული სტუდენტის საწარმოო ტრამვის საგანზე დაზღვევისუზრუნველყოფა;
- შიდა და გასვლითი კონფერენციების ორგანიზება;
- ადგილობრივი და გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება (მაგალითად, გასართობ-შემეცნებით ექსკურსია, სპორტული ღონისძებები და სხვა) პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით.

5. დანართი

დოკუმენტში დიაგრამებისა და ცხრილების სახით, მოცემულია შემდეგი თვალსაჩინო მასალა:

N 1. სტრატეგიული ჩარჩო 11
N 2. გარემოსა და ორგანიზაციის ანალიზი 17
N 3. ინსტიტუციური გარემოს რუკა 18
N 4. არსებული და ახალი პროგრამები 25

სსიპ კოლეჯი

„ბლექსი“